№ 34

კვირა, 13 თებერვალი 1894

1877—1894

# ივერია

№ 34

კვირა, 13 თებერვალი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სატელეგრ. ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**მიიღება ხელის მოწერა**

1894 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

## „მოამბე“-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| აზღვარ გარეთ . . . . . . . . . : . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე— 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ნიკოლოზ ლოლობერიძე

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

## საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებული ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

**ფასი 50 კაპ.**

## უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

**ფასი 40 კაპ.**

## სასტოლო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკით დასტამბული უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

**ფასი 20 კაპ.**

## სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

**ფასი 5 კაპ.**

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტულუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

**ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება** დანიშნულია ოცდა-შვიდს ამა თებერვალს, კვირა დღეს, ათს საათზედ, დილით, ტფილისის თავად-აზნაურთა სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში.

ბორჩალოს კეთილშობილთ წინამძღოლი თავ. გიორგი ილიას ძე ჯამბაკურიან - ორბელიანი აუწყებს ამას იმ თავად-აზნაურთა ბორჩალოს მაზრისას, რომელთაც აქვთ უფლება ამ კრების არჩევანებში მონაწილეობა მიიღონ, მობძანდნენ ზემოაღნიშნულს დროს და, ვიდრე კრება დაიწყებოდეს, წარმოუდგინონ მას საბუთნი თავიანთ უფლებათა, თანახმად კანონის მე-104 მუხლისა, რომელიც მოთავსებულია 1876 წელს გამოცემულ კანონთა კრებულის მეცხრე ტომში. (3—2)

ქართული თეატრი

კვირას, 13 თებერვალს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ამ სეზონში უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

დრ. 5 მოქ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**კახეთის ახლად შემდგარს ვენახების პატრონთ ამხანაგობა,** დაარსებულია იმ აზრით, რომ ადგილობრივ და შიდა რუსეთის ბაზრებში გაიტანოს ნამდვილი კახური ღვინო ამ ამხანაგობის წევრთა ვენახებისა. ამხანაგობამ მოქმედება დაიწყო ამა წლის 5 თებერვლიდგან.

ნარდად და წვრილ-წვრილად გაიყიდება ტფილისს, ამ საზოგადოების საწყობ სარდაფებსა და მაღაზიებში; 1) მიხაილოვის ქუჩაზედ, სლივიცკის სახლში № 81; 2) ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლაში. (10—7)

## ტფილისი, 13 თებერვალს

რაჭას, სოფელს ხვანჭკარას, სცხოვრობს მოხუცებული თავადი კონსტანტინე ყიფიანი.

როგორც სწერს „Нов. Об.“, თავადი კონსტანტინე უშვილო ყოფილა და განუზრახავს, რომ საკომლო ადგილები თავის დროებით-ვალდებულ გლეხებისა უწყალობოს იმათვე.

განზრახვა პატივცემულის თავადისა დიად კეთილშობილია და გონიერი. თავადმა კონსტანტინემ დაამტკიცა, რომ მას მომადლებული ჰქონია ზეცით ძვირფასი ნიჭი მოყვასის სიყვარულისა და ამასთან იგი ყოფილა კაცი გონიერი და გამსჭვალული საქვეყნო კეთილგანწყობილებისა და თანხმობის სურვილით.

თითონ თავის თავად ასეთი საქციელი თავადის ყიფიანისა დასაფასებელია და სასიამოვნო არა მარტო იმ მხრით, რომ ხვანჭკარის გლეხებს რამდენიმე ქცევა მიწა შეეძინებათ და ნივთიერად მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება. არა, ასეთს განაჩენს ძველის მემატიანისას სხვა მნიშვნელობაც და ხასიათი აქვს; აქედგან სჩანს, ჩვენი ბატონყმური დამოკიდებულება არ ყოფილა იმ ზომამდე მკაცრი და ადამიანთა შორის კეთილის კავშირის დამარღვეველი, რომ შესძლებოდეს აღმოეფხვრას ბატონის გულიდან გლეხის სიყვარული და პატივისცემა. ზოგიერთ ჩვენის ცხოვრების „მკვლევართ“ ჰგონიათ, ბატონ-ყმური დამოკიდებულება საქართველოში ნამდვილ ჯოჯოხეთს ჰგავდა და რომ ბატონსა და ყმას სძულდათ ერთმანერთი და გადამტერებული იყვნენ, ვითომ ეს გრძნობა დარჩენილა დღესაც, და ამისი უარ-ყოფა შეუძლებელი არისო.

მაგრამ თავადის კონსტანტინე ყიფიანის ყოფა-ქცევიდან არა სჩანს, რომ ბატონსა და ყმას შორის შურსა და სიძულვილს ის ადგილი ჰქონდეს, რომელიც მაინცა და მაინც სურთ დაამტკიცონ ჩვენის ცხოვრების „მკვლევარებმა“. არა სჩანს აგრეთვე ასეთი მძაფრი დამოკიდებულება წოდებათა შორის იმ მრავალის საბუთიდანაც, რომელიც ყველასათვის ცხადია.

თუკი რომელიმე უკმაყოფილება არსებობს დღეს ბატონსა და ყმას შორის, განა ამ გვარისავე ხასიათის უკმაყოფილება და ზოგჯერ იქნება უარესიც არ იპოვება როგორც თვით ბატონთა ურთიერთობაში, ისე გლეხთა შორისაც?

აქ წოდებრივის უკმაყოფილების შესახებ ლაპარაკი დასჯა უადგილო და უაზროა; უაზროა მეტადრე ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც გვჭირია საერთო შეთანხმებული შრომა ჩვენის ცხოვრების განსაკარგებლად. ამ შემთხვევაში ყოველ ისეთ საგნის გამო ლაპარაკის ჩასოგდება, რომელიც გამოიწვევს წოდებითს განხეთქილებას, პირდაპირ ვიტყვით სრული გაუგებრობაა აწინდელ დროის ჩვენის გარემოებისა. ვიტყვით, მეტს: ამ გვარი საუბარი და მაინცა და მაინც იმის დამტკიცების სურვილი, რომ არსებობს რაღაც შური და მტრობა ერთ მიწის მამულის შვილთა შორის, მტრობაა თვით იმ უწმიდესის აზრისა, რომლის სახელით ეს პუბლიცისტები გვიქადაგებენ. იქნება, ეს მტერობა უნებლიეთიც იყოს და გვჯერა კიდეც, რომ ასეა, მაგრამ საქმე მაინც საქმედ რჩება და უკეთური აზრი ეფინება ქვეყანას.

მეველე

## ახალი ამბავი

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, კვირას, 13 თებერვალს, ქართულს თეატრში დანიშნულია წარმოდგენა „სამშობლოსი“, რომელიც ამ სეზონში უკანასკნელად იქმნება წარმოდგენილი.

*** გუშინ და გუშინ-წინ ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** 12 თებერვალს დილის მატარებლით ბათუმს გაემგზავრა პეტერბურგიდგან მოსული ამიერ-კავკასიის რკინის გზის ინსპექტორი ინჟენერი იაშანოვი.

*** ქ. შუშის მცხოვრებელს მამიკონ გერასიმეს ძეს გულიევმა მთავრობისაგან ნება აიღო ტფილისში რუსულს ენაზედ გამოსცეს გაზეთი. ეს გაზეთი კვირაში სამჯერ გამოვა და ეწოდება „Кавказскія Публикаціи“. გაზეთში დაიბეჭდება ჩრდილოეთ სააგენტოს დეპეშები, მთავრობის განკარგულებანი კავკასიის შესახებ, პოლიციის ამბები, გამოსადეგი ცნობანი და სხ. წვრილმანი ცნობები.

*** გუშინ, ამ თვის 12-ს, კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიას დეპეშა მოუვიდა მთავარ-მართებლის გენერალ ადიუტანტის ს. ა. შერემეტიევისაგან კავკასიის რკინის გზაზედ კონდუქტორად ნამყოფ ქიქოძის საქმეზე, რომელსაც კავკასიის სამხედრო სასამართლომ ჩამორჩობა გადუწყვიტა ჟანდარმი გრუზინის მოკვლისათვის, კავკასიის მთავარ-მართებელს გნერალ შერემეტიევს, რომელსაც ეს გადაწყვეტილება გაუგზავნეს განსახილველად, როგორცა სჩანს დეპეშიდგან, დარჩობა უპატიებია და ათის მაგივრად უვადოდ კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა.

*** გუშინ ტფილისის სისხლის სასამართლომ გაარჩია მუღდუსი მნაცაკანოვის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა ორი პოლიციელის დაჭრა, როდესაც მათ უნდა შეეპყრად იგი, ერთი მუშის დაჭრა და დალაქის მოკვლა. ოლქის სასამართლო ორი დღე მოუნდა ამ საქმის გარჩევას და გუშინ მუღდუსი მნაცაკანოვს თორმეტი წლის ვადით კატორგა გადაუწყვიტა.

*** 11 თებერვალს ფოთიდგან წამოსულმა საფოსტო და სახალხო-მატარებელმა ველარ მოუსწრო ბათუმის მატარებელს სამტრედიის სადგურზედ, რის გამოც ფოთის ფოსტა არ მოსულა ამ დღეს ტფილისში. ამის მიზეზი, როგორც ამობენ, მატარებლის ვაგონების ჯაჭვების დაწყვეტდაგლეჯა ყოფილა გზაში.

*** პარასკევს საღამოს რუსეთის ფოსტა არ წასულა ტფილისიდგან, რადგანაც საქართველოს - სამხედრო გზა რამდენსამე ადგილას არის განამქრული და გაფუჭებული. ეს ფოსტა მეორე დღეს, შაბათ დილას გაჰგზანეს ბათუმისკენ „ნოვოროსისკის“ ახალის რკინის გზით.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფთან დაარსებულ შემნახველ-დამზოგველ კასას შეუვიდა იანვარში სხვადა-სხვა კერძო კაცთაგან 79,424 მან. 50 კაპ. კასამ გასცა 209 ახალი წიგნ-დავთარი. შარშან იანვარში-კი შეუვიდა 28,906 მან. ახალი წიგნი გასცა 126. მაშასადამე წელს 83 წიგნი მეტი გაუცია და ფულიც 50,518 მან. 50 კ. მეტი მიუღია. კასა იქ არის, საცა დეპეშებს იღებენ გასაგზავნად და ღიაა ყოველ-დღე დი-

ლის 8 საათიდგან 2 საათამდე და 5—7-მდე საღამოზედ; კვირაობით დიაა დილის 8—11-მდე.

*** მარელისი: გუშინ-წინ, 11 თებერვალს, შუადღისას, მოლითიდამ გამოსული საქონლის მატარებელი № 50 გაწყვეტილა ორად. ამის მიზეზად თოვლის დიდს ზვავებს ასახელებენ, რომელიც თურმე ისე ბლომად დაწოლილა რკინის გზის ლიანდაგზედ ამ ადგილებში, რომ ძლიერ უძნელებს მატარებელს თავისუფლად მიმოსვლას. ზემოხსენებულ მატარებელსაც ისეთი ბევრი თოვლი აუგროვებია წინა ვაგონების თვლებში, რომ ალაყები ვერ მოუჭერიათ; უკანა ვაგონების ალაყები-კი მოუჭირეს და ამის გამო რამდენიმე ვაგონი მოშვლეჯია წინა ვაგონებს.

ამ ამბავმა მშვიდობით ჩაიარა და არავითარი მარცხი არ მომხდარა.

*** სოფ. უჩხუბი. (გურია): ძლივს ვეღირსეთ ჩვენც სკოლას. სკოლა სამრევლოა და ჯერ ნაქირავებ სახლში გვაქვს. 100-მდე ყმაწვილი სწავლობს უკვე. განაჩენი დავადგინეთ და გვინდა სასკოლო სახლი ავაგოთ. მაშინ 200-მდე ავა შეგირდების რიცხვი. კეთილად წავა სკოლის საქმე, რომ ორიოდე კაცი ხელს არ გვიშლიდეს, აქაო და ჩვენ შვილები არა გვყავს, უნდა ჩაშალონ კეთილი დაწყობილება და ამოდენა ბავშვებს ლამის ყელები გამოსჭრან.

*** ქუთაისი: 9 და 10 აქ წარმოდგენები გამართა მალოროსიელთა სათეატრო დასმა ბ-ნ დერკაჩის თაოსნობით. ორივე წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, მეტადრე რუსობა იყო ბევრი, ქართველებიც ბლომად იყვნენ. კიდევ აპირებენ რამდენსამე წარმოდგენას და მერე უნდათ ტფილისსა და ბაქოში გაემგზავრნენ წარმოდგენებისათვის.

*** სოფ. ბაკურციხე (სიღნაღის მაზრა) დიდს გაჭირვებაშია ჩვენი სოფელი სხვა-და-სხვა ავადმყოფობით. უფრო გავრცელებულია ციებ-ცხელება, ინფლუენცა. გაჭირვებაშია, რასაკვირველია, გლეხ-კაცობა, მდაბიო ხალხი, რომელსაც არც წამალზედ მიუწვდება ხელი, და არც სადგომი აქვს რიგიანი, არც ჭამა-სმა და მკურნალიც ძვირია მისთვის. აი ამ დროს უჩნდებიან ხალხს ვითომ და გულ-შემატკივარნი, შინ გამომცხვარნი ექიმბაშნი და სწამლობენ ისე, როგორც ღმერთი აგონებთ. წამალი ეს არის და მორჩენა ღვთის ნებააო, ამბობენ ამისთანა ექიმბაშები. კიდევ კარგი, რომ მათ შორის ზოგი ღვთისნიერი ადამიანი მოიპოვება, მართლა გამოცდილი და ცოტა, თუ ბევრად დახელოვნებული სადა და უბრალო ავადმყოფობის წამლობაში. ისინი უმართავენ ხელს გაჭირვებულსა და ღარიბ-ღატაკს უნცროს ძმას, თორემ თქვენი მტერი იყოს ისე, როგორც სოფლებს გაუჭირდებოდათ.

*** ბაქო: 8 თებერვალს ქარხნებში გაჩენილი ცეცხლი განელდა 9 თებერვალს, ღამის 11 საათზე. რკინის გზას ზარალი მიეცა 638 მანათისა. რკინის გზის ლიანდაგი შეასწორეს. ვაგონების მიტანა და ნავთით დატვირთვა შავ ქალაქში დაიწყო ისევ ძველის წესით 11 თებერვალს.

*** რიონი: 11 თებერვალს კასასთან მიჭედილი ყულაბი მოიპარეს. ყულაბში ფული გროვდებოდა ეკლესიის ასაშენებლათ სმეკალოვკაში.

*** 11 თებერვალს მეორე მალაკნის ქუჩაზე, რკინის გზის კონდუქტორების ალექსანდრე ორჯონიკიძისა და მოსე მაშტაძის სადგურიდამ 1532 მან. ნივთეული და ბანკის ბილეთები მოიპარეს. ქურდობა ჰბრალდება მათსავე ნათესავს ტფილისის მცხოვრებელს მატერი შაშალაშვილს და შორაპნის მაზრის მცხოვრებელთ ალფეზ კვიტაძეს და აზნ. გიორგი ორჯონიკიძეს, რომლნიც უკვე შეიპყრეს.

## ნაწყვეტი

სამრად მივგუგუნებდით,
გმირმა დაიწყო მღერაო,
ცრემლი გვადინა ლაშქარსა,
გულ-მკერდი აგვიძგერაო.
მისმა საგმირო სიმღერამ
ლაჩარიც აალელაო,
ხმალი მტერს! ხმალი, ქართველნო!
მედგრად იძახდა ყველაო.

დ. მაჩხანელი

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემმა წერილმა პატარა-ლიახვის ხიდის შესახებ რამდენიმე მუქარის წერილი გამოიწვია. არ შევეხები, რამდენათ საბუთიანი წერილებია გ. გუგუშვილისა, ბ-ნ კვირიკელისა და მ. ერისთავისა, ხოლო ვიტყვი ხიდის გაკეთებაზედ და მის გარემოებაზედ. ხიდი აშენდა აი რითი: გორის მაზრის თავად-აზნაურობამ შემოსწირა ხე-ტყე და ყოველნაირი მასალა (ბ-ნი კვირიკელია მეკითხება, მე რა შემწეობა აღმოუჩინე ხიდის გაკეთებაში? თვითონვე ამბობს თავად-აზნაურთა ხე-ტყით შემწეობა მისცესო და მეც გახლავართ ერთი იმ თავადთაგანი). ხელოსნები, მხერხავები და ყოველ-გვარი მუშა სულ სოფლების საზოგადოების ხარჯზედ იყო. ხარჯი ჰქონდათ მარტო ოცი თუმანი მოთავე დურგლისა, 32 ხისა, რომლებიც იყიდეს ოთხ-ოთხ მანეთათ, 50 მანეთამდის მოჯარების შეღებვისა და კიდევ რკინეულისა, რაც მოუნდა ხის ხიდსა, რასაკვირველია, ამას დაწვრილებითი ანგარიში უნდა, მაგრამ, ჩემის და სხვებისა და სათემლიანის აზრით, 700—800 მანეთზედ მეტი არ მოუნდებოდა ფულად. ბ-ნ კვირიკელიას სიტყვებით ხიდი გროშებით გაკეთებულა. მგონი, სულ ეს ჩამოთვლილი შეწირულებანი გროშები არ არის? ბ-ნი ერისთავი ამბობს ფული ჰქონდათ 1300 მანეთიო (700 მანეთი ამილახვრის დროს შეგროვილი და 600 წარმოდგენისა) ეხლა ეს ბრძანეთ, სად არის სულ ეს ფული? ხარჯი სჩანს არა მეტი 700—800 მანეთისა. ინჟენერი მოიყვანეს ხიდის კეთების დროსაო და ძალიანაც მოიწონაო. ინჟენერი არ მოუყვანიათ, მოიყვანეს ტეხნიკი კრუგლიკოვი მხოლოდ მაშინ, როცა ხიდი გაკეთებული იყო, და ოქმში ამბობს, „რომ „ხიდზედ შეუძლიათ იარონ ეტლებმა 150 ფუთით დაბარგულმა, ხოლო ძლიერ დიდთა და ძალიანც საშიშია ჩანგრევისა წყალ-დიდობისა, ყინულობისა, ნარიყისა, ყინულისა და სხვა და-სხვა ხეების დაჯახებითა. ხიდი კარგა მხოლოდ ეხლა მსუბუქი საპალნისათვისა“, როგორც სჩანს წყალ-დიდობას ხიდი უნდა ჩაინგრეს და დავრჩეთ ცარიელნი. რათ მინდა ეხლა ხიდი, როცა ორი ნაკადი წყლისა არ მოდის. რაც შეეხება იმას, ხიდი კასი მოთავეობით გაკეთდა, ეს საზოგადოებამ კარგად იცის და ამისათვის ამაზედ მეტი იქნება ლაპარაკი. ბ-ნ ქ. დ. გუგუშვილს ხმალი მიართვა თავად-აზნაურობამ მადლობის ნიშნათ მოღვაწეობისათვის, რომელიც გამოიჩინა ხიდის გაკეთებაში. იხილეთ მეორე თებერვლის № გაზეთ „Кавказъ“-ისა, რომელშიაც გორის მაზრის წინამძღოლი აცხადებს ოფიციალურად, რომ ეს ტყუილიაო.

ეს მქონდა სათქმელი და გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, ამ წერილს ადგილი მისცეთ, რითაც დამიხსნით ხალხის მითქმა-მოთქმისაგან და ამის შემდეგ უარვყოფ უსაბუთო წერილებზედ პასუხის გებას.

თავადი კ. ხერხეულიძე

1894 წ. თებერვალი 12

ტფილისი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«Nen Review»-ის იანვრის ნომერში დაბეჭდილი არის—ამბობს „Revue des Revues“ ლეონ ტოლსტოის ეტიუდი, იმის შესახებ თუ როგორი სწავლა ჰქონდა მიღებული იესო ქრისტეს და მის მოწაფეებს. ფრანგულის ჟურნალის აზრით

ეს ახალი ნაწარმოები ტოლსტოისა გადმოღებულია მთელად ერთის წიგნიდგან რომელსაც ჰქვიან სახელად: „ხსნა თითონ ჩვენშივე არის“.

ასეთი ამბავი სრულიად დაუჯერებელია. რუსეთის გამოჩენილს მწერალს ერთობ კარგად ესმის თავისის კალმის ფასი. ტოლსტოის ზნეობის კაცი არც იზამს ქურდობას!.. აქ, უთუოდ, თითონ ფრანგული ჟურნალი უნდა ჰრევდეს რაღაცას თორემ ძნელად დასაჯერებელია, რომ ლეონ ტოლსტოის სხვისის ნაწარმოების მითვისება ეკადრებინოს!..

**

გაზ. „Новое время“-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია ტფილისიდგან, რომელშიაც კორესპონდენტი მოუთხრობს მკითხველებს 22 იანვარს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჯუმათის სადგურთან მომხდარს უბედურებას, რომლის დროსაც რამდენიმე ვაგონი დაიმსხვრა და ოც-დაათამდე კაცი დაშავდა. აი რითი აბოლოვებს თავისს წერილს ბ-ნი კორესპონდენტი:

რასაკვირველია, ეხლა გამოძიებასა და ამ უბედურების დამნაშავეთა ძებნას დაიწყებენ. საფიქრებელია, რომ ყოველისავე მიზეზი რკინის გზის რომელიმე უბრალო მოხელე აღმოჩნდეს. სასჯელს იმას გადაახდევინებენ, მაგრამ ნეტა ვიცოდეთ, ნუთუ შეუცვლელადვე დარჩება აწინდელი წესი სამსახურისა, რომლის გამოც რკინის გზის უბრალო მოხელენი დღე გამოშვებით ოც-და-ოთხის საათის განმავლობაში არიან იძულებულნი მორიგედ ყოფნას? საკვირველია, რატომ არ მიაქცევენ ყურადღებას ადამიანის გამძლეობას და წესიერად არ განსაზღვრავენ შრომასა და ჯაფას! ამ შემთხვევაშიაც, როდესაც ტფილისიდგან მატარებელი ბათუმს მივიდა, იმავე მატარებლის მოხელენი ისევ საფოსტო მატარებლით გაისტუმრეს ტფილისს. განა შესაძლებელია, რომ ადამიანმა ისეთი უბედურება გამოიაროს, შესუსტდეს ძალ-ღონით და მაინც კიდევ უბედურების მეორე დღის ღამის პირველ საათამდე დაუსვენებლად სამსახურს ასრულებდეს? აშკარაა, რკინის გზის ადმინისტრაციას ჰგონებია, რომ ჩვენს პაწია მოხელეებს, რომლებსაც ჯამაგირი ოთხი თუმანი და უფრო ნაკლებიცა აქვთ, ხარის გამძლეობა შესწევთ და სტომაქი-კი ბეღურასი აქვთო.

ტფილისის გაზეთებმაც არა ერთხელ მიაქციეს ყურადღება რკინის გზის ადმინისტრაციისა, რომ მეტად დიდი შრომა და ჯაფა აწევთ კისრად მატარებლებზედ მყოფ რკინის გზის მოხელეებსაო, მაგრამ, ნათქვამია, «სხვისი ჭირი—ღობეს ჩხირიო».

## ხოლერის შესახებ

26 იანვარს პარიზში დანიშნული იყო საერთა შორისო სანიტართა კრება. ამ კრებას აზრადა ჰქონდა გამოსძებნოს ისეთი საშუალებანი, რომ მედგრად გაუმკლავდეს ხოლერას, ევროპისაკენ გზა შეუკრას და მისპოს იგი თვით თავისსავე სამშობლოში—ინდოეთს.

ასეთის კრების მოწვეულის აზრი საფრანგეთში ამ ოთხიოდე წლის წინად დაიბადა. გამოჩენილმა პასტერმა დაამტკიცა, რომ ხოლერასთან შეუძლებელია ბრძოლა კარანტინებითა და სანიტარულის გზის შეკვრით. ცუდ სა-ჰიგიენო პირობათა გამო საზღვრებთან გამართული კარანტინები უფრო ავრცელებს ამ სენს, მისის მოსპობის ნაცვლადაო. ამიტომ ამ ბოლოს დროს, თუ ხოლერის სენი გაჩნდა, უფრო იმას აქცევენ ყურადღებას, რომ წესიერი დეზინფექცია არ მოაკლონ მოგზაურთ და ახლად სხვა ქვეყნებიდგან ჩამოსულებსაც თვალ-ყურს ადევნებენ. ხოლო ასეთი საშუალებათა ხმარება-კი მაშინ მოუტანს ჯეროვანს სარგებლობას, თუ ევროპის ყველა სახელმწიფომ შეთანხმებით იმოქმედა და ამ მხრივ ხელი მისცეს ერთმანერთსაო. აი ამიტომ საჭიროდ იქმნა დანახული საერთა შორისო სანიტართა კრება გაემართათ ხოლერასთან საბრძოლელ საშუალებათა გამოსარკვევად.

პირველი სანიტართა კრება მოწვეული იყო ამ ორის წლის წინად ვენეციაში. იგი სწავლობდა ინდოეთიდგან ევროპაში მეწამულის ზღვითა და სუეზის არხით ხოლერის სვლის შემაბრკოლებელს საშუალებათა. ამ კრებამ დაადგინა, განსაკუთრებული სასანიტარო სადგომი იქმნას დაწესებული ალექსანდრიაში და ევროპაში მიმავალ ხომალდებს დეზინფექცია გაუკეთდეს ხოლმეო. მას შემდეგ დრეზდენში გამართულმა სანიტართა კრებამ გამოარკვია, რომ მთავრობანი ხოლერის გაჩენის შემდეგაც ხშირად ჰფარავენ ამ სენის არსებობას, რათა უცხო სახელმწიფოებთან ვაჭრობა არ შეგვიმცირდესო, რადგან ამას დიდი ზიანი მოაქვსო. დასასრულ უკანასკნელს სანიტართა

## ფელეტონი

### ალექსანდრე მაკედონელი ყოფილა ჩვენში თუ არა?

ჩვენ არ ვეთანხმებით ბ-ნ ა. ხახანაშვილის შენიშვნას, მოყვანილს „Нов. Обоз.“-ში მიუნხენში დაბეჭდილ ბ-ნ ფრანც შვარცის თხზულების სიმართლეზედა, ვითომ ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლა ჩვენს კავკასიაში სიცრუვე იყოს და მოგონებული მოთხრობათაგან; ვითომ თურქისტანში მისი გალაშქრება-კი მართალი ყოფილიყოს ხსენებულის შვარცის ნამდვილის გამოკვლევითა, რომელსაც დაუვლია ყოველი მხარე, ძირი და კუთხე ამ ქვეყნისა, შეუსწავლია ზედ მიწევნით და დარწმუნებულა, რომ არრიანის და კურციო ისტორიკოსების ნაჩვენები კავკასია და ადგილები თურქისტანი ყოფილა და არა ჩვენის საქართველოს მხარენი.

აღარ სჯერა ჩვენს ისტორიკოსს ჩვენის ქართლის ცხოვრების თქმულება, არც კვინტკურციის ისტორიის ადგილები და არც დიმიტრი ბაქრაძის გამოკვლევა. ამბობს: „განსვენებულმა დიმ. ბაქრაძემ ქართლის ცხოვრების თქმულების დასამტკიცებლად მიჰმართა მონთესკიეს თხზულებასაც, რომელშიაც რამდენიმე სიტყვა მოხსენებულია ამის შესახებ, რომ შესაძლოა ალექსანდრე მაკედონელს დაეპყროს საქართველოვო, თუმცა ეს ასეა, მაინც საეჭვოა ეს გარემოებაო“ (ივერია № 20).

ისტორიკოსი დასკვნას, რომ ლეგენდა ალექსანდრეს დიდის ყოფნის შესახებ ჩვენს ქვეყანაში აიხსნება ბერძენთა ავტორების მიერ საგეოგრაფიო ტერმინის უკანონო ხმარებითაო“.

ბერძნის ადრინდელი ავტორები მუდამ ჩვენის ქვეყნის მახლობელი მეზობლები იყვნენ, ჩვენში მოსიარულე, ჩვენის ქვეყნის მთა-ბარისა, ხევ-ღელეებისა და ძირ-კუთხის მცოდნენი დიდის ხნითგანვე, სულ ცოტა, ორი ათასის წლით წინ ქრისტეზედ! შორის ქვეყნების გეოგრაფიული ტერმინები რომ არევ-დარეული ჰქონდესთ ბერძნების სწავლულთა, გასაკვირველი არ არის, როგორც ინდოეთისა, თურქისტნისა, სპარსეთისა, აზარების ქვეყნისა და მისთანათა, რადგან კარგად არ ჰქონდათ შესწავლული; ჩვენის ქვეყნის გეოგრაფიული ტერმინების არ ცოდნა ბერძნებისაგან, ჩვენთა მოკიდულე მოსაზღვრეთაგან, ისიც 300 წლით წინად ქრისტეზედა, ალექსანდრე მაკედონელის დროს მეტად გასაოცებელი არის!

თუ-კი 400 წლის წინ ქრისტეზედ ბერძნების სარდალმან ქსენეფონტმან იცის სინობი, ტრაპიზონი, კალიბები, ტაოქელები და მესხები, რომლებშიც გაიარა 10,000 ჯარითა [1]) და აღწერა მათი ცხოვრებაცა, რატომ მის შემდგომ ბერძნების მწერალთ არ ეცოდინებოდათ უფრო უკეთესად ჩვენი საქართველოს გეოგრაფია და მასში მკვიდრნი სხვა-და-სხვა სახელწოდებით განაწილებულნი? როგორც სწერს კვინტიკურც ალექსანდრე მაკედონელის ისტორიაში, სადაც არა მარტო გვარები განყოფილებით თვითოეულად აღნიშნულია, არამედ იგივე გეოგრაფიული მდებარებაც მოხსენებულია [2]).

აი როგორ: „ხეობა იყო ღია და წაგრძელებული მიდიოდა ვიდრე კასპის ზღვამდის: ორივე მხარეს მქედ-ზურგნი მისდევდნენ უღელტეხილებით, შუა ნაწილი-კი ქვეყნისა ცოტა რამ მოხრილ მოკუჭებული იყო მილეულ მთვარესავით, კერკეტელნი, (ქედელები აჭარლები), მოსინელნი (მესხები) და კალიბნი (ჭანები) მარცხნივ ესახლნენ. მარჯვნივ-კი ლეკასუჰნი (ლაზები) და ამაზონების მინდორ-ვაკე მდებარებდა, იმათ ემხრობოდათ ჩრდილო და ამათ—დასავლეთის კერძო“!

„იქიდგან განვლო მეფე ალექსანდრემ უგზო-უკვლო ტყიანი მხარე 20-ოდე უტევანი, მაგრამ ღრმა ხევღელე და წყალ-წყული აპრკოლებდა

[1]) Xenorh r. 338. 340.

[2]) კვინტიკურცი VI. მწიგ. IV მუხ. 36 გვერდი.

კრებას პარიზისას აზრად ჰქონდა შესწავლა ხოლერა თვით აზიაშივე და ევროპის დასაცავად საშუალება რამ ელონა. როგორც ცნობილია, ხოლერის სამშობლო ინდოეთია; ეს სენი აზიასა, აფრიკასა და თითქმის ევროპაშიაც ინდოეთის დიდ სავაჭრო საქულბაქოებზედ და მეკკას საშუალებით ვრცელდება. მეკკიდგან ეს სენი ეგვიპტესა, ალჟირსა, ოსმალეთსა, ამიერ-კავკასიასა და შემდეგ ევროპაში შეაქვთ ქაბას სალოცავად წასულს მაჰმადიანებს. ამიტომ პარიზის სანიტართა კრებას უნდა დაედგინა, რომ სასანიტარო მეთვალყურეობა დაჰნიშნოს კერძოდ ინდოეთსა და საზოგადოდ ინდოეთის საქულბაქოებზედ, ღონისძიება მიეღო მაჰმადიანთა წმიდა ჰების გასაწმენდად (მაგალითებრ, ავარის ჰისა), რადგან მაჰმადიანები ამ წყალსა სვამენ და თავის მოვალეობად მიაჩნიათ მაჰმადის თაყვანის მცემელთ ტანი განიბანონ ამ წყალში.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

### კლუბი ცამეტისა.

ინგლისში სხვა შესანიშნავ საზოგადოებათა შორის არსებობს აგრეთვე «კლუბი ცამეტისა», რომელსაც დროშაზედ უწერია ბრძოლა ცრუ მორწმუნეობასთან. ამ ბრძოლას კლუბის წევრნი წერითა და ქადაგებით კი არ უწევენ ცრუ-მორწმუნეობას, არამედ დაცინვითა და აბუჩად აგდებით. ამ საახალწლოდ ამ კლუბმა სადილი გაჰმართა, რომელზედაც ცრუ-მორწმუნეობა სრულიად და სავსებით შელახულ-შეგინებული იყო.

ცრუ-მორწმუნეთ ხომ ძალიანა სწამთ, რომ ცამეტი რიცხვი ცუდის მომასწავებელია და ნიშანია. ამ კლუბმა-კი სადილი გაჰმართა სწორედ ცამეტს რიცხვს, სასტუმროს მეცამეტე ოთახში. ცუდის სახის მოსამსახურეები იყვნენ ამორჩეულნი, სასადილო ოთახში შესვლამდე სტუმრებმა კიბის ქვეშ გამოიარეს, რაც ცუდ ნიშნად არის აგრეთვე ხალხისაგან მიჩნეული. დანა ჩანგალი ჯვარედინად ეწყო, სამარილეები კუბოს სახისანი იყვნენ, კოვზები—ბარისა. სანთლები ადამიანის თავის კენჩხოებში იყო ჩადგმული. ოთახში ცამეტი სუფრა იყო ცალკ-ცალკე გაშლილი და თითო სუფრაზედ ცამეტის კაცის სუფრის იარაღი ეწყო. თავმჯდომარეს სავარძლის უკან დახატული იყო ქვაბი, რომელსაც ჩასცქეროდა კუდიანი დედაკაცი ბოროტის თვალებით და იქვე ეცუცქა შავი კატა. ყველა წევრს კლუბისას ბაცი მწვანე ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული; შევიდნენ თუ არა სტუმრები დერეფანში, უშველებელმა სარკემ იხუვლა, გადმოვარდა და ნაკუწ-ნაკუწად დაიმსხვრა იმის ნიშნად, რომ სადილი უკვე მზად გახლავთ. საჭმელებს უცნაური სახელები ერქვა, მაგალითებრ: „გველის ენა“, „შეშინებულის ღორის სუკები ტარტაროზის წვენით“ და სხ.

ლოცვის წაკითხვის შემდეგ, ოთახში შევიდა კუბოების გამკეთებელი ჭურჭერი. თავმჯდომარემ პირველი სადღეგრძელო ინგლისის დედოფლისა დალია და სადღეგრძელოს სათქმელად ცამეტი სიტყვა სთქვა. ცამეტისავე სიტყვით, რომელიც ცამეტის წუთის განმავლობაში იყო თქმული, მან სიკეთე და წარმატება უსურვა კლუბს ცამეტისას. შემდეგ პარლამენტის სადღეგრძელო დალიეს, რომლის დროსაც თავმჯდომარემ განაცხადა, კანონ-პროექტი ჭომრულისა 13 თებერვალს იქმნა შეტანილი ქვედა პალატაში, პირველჯერა და მესამეჯერ პარასკევ დღეობით იყო განხილული და პარასკევსვე უარჰყვეს იგი ლორდებმა; აქედგან ცხადადა სჩანს, რომ ქვედა პალატის წევრნი ცრუ-მორწმუნენი არა ყოფილან და შეგვიძლიან ისინი ჩვენის კლუბის საპატიო წევრებად ამოვარჩიოთ. შემდეგ წაკითხულ იქმნა ამათი წერილები, რომელნიც კლუბის წევრობაზედ უარს ამბობდნენ. უმეტესობა ამათგანი ქალები იყვნენ, რომელთა წერილების კითხვის დროსაც წევრებმა ბევრი იცინეს. ამ უარის მთქმელთა წერილებს შორის ორი წერილი იყო მეტად საყურადღებო. ერთი გამოეგზავნა დრამების მწერალს ოსკარ ვილდეს, რომელიც მადლობას უხდიდა კლუბს მიწვევისათვის და თან დასძენდა, არა მრცხვენიან, მიყვარს ცრუ-მორწმუნეობა ვითარცა განსაკუთრებული შტო პოეზიისაო.

მეორეში გენერალი ლორდი უოლსლეი სწერდა: „მე არა თუ ცრუ-მორწმუნე ვარ, არამედ დიდის პატივის-ცემით ვინახავ გულში ბევრს ცრუ-მორწმუნეობას. იგი მაკავშირებს მე მშვენიერ, ქაბის ღირსს წარსულთან. მე მწამს, რომ კეთილნი და ბოროტნი სულნი არსებობენ და რომ ავგაროზებს დიდი ძალა აქვს, მას შემდეგ, რაც დუბლინში ვარ, ბევრჯელ მომიხდია ქუდი კაჭკაჭისათვის, იმ უცნაურ ფრინველისათვის, რომელსაც ირლანდიელები ისეთს დიდს პატივსა სცემენ. ვისურვებთ, რომ კლუბმა ცამეტისამ სიამოვნებით გაატაროს დრო, თუმცა სამწუხაროდ, თქვენ უარჰყოფთ ცრუ-მორწმუნეობას, რაც უოლსლეის ცხოვრების მარილს შეადგენს“.

რა-და თქმა უნდა, რომ ამ სადილზედ დიდ-ძალი მარილი დაიპნა განზრახ. შემდეგ სტუმრებს თითო პაწია სარკე დაურიგდათ, რომლებიც თავმჯდომარეს წინადადებით, ერთს დროს დაამსხვრიეს. შემდეგ ერთმანეთს საჩუქრებად დანები მისცეს, რაც ხალხის აზრით, ნიშანია მტრობისა და უბედურებისა. მერე იგალობეს ლექსი, რომელსაც სახელად «ცრუ-მორწმუნე კაცი» აწერია და შიგ ჩამოთვლილია ყველა ცრუ-მორწმუნეობანი: მასში ჯვარს ნუ დაიწერ, კვირადღეობით ფრჩხილების დაჭრა არ ვარგა, კიბის ქვემოდგან ნუ გაივლი. ქვრივი ქალი თუ შეირთო, შენს ჯვარის-წერის ბეჭედს იმ დრომდე ნუ გაუკეთებ თითზედ, ვიდრე პირველს ქმრის ბეჭედი არ წაამრო და სხ.

სადილი გათავდა ნაშუაღამევს, რომლის შემდეგაც სტუმრებმა იმავე კიბის ქვეშ გაიარეს და ისე დაიშალნენ.

---

## გასართობი

—

ერთმა ტკბილად და ალერსიანად მოსაუბრე ყმაწვილმა კაცმა შეირთო ცოლად მეწვრილმანის ქალი, საზოგადოებაში გამოუსვლელი.

— ჩემო მშვენიერო, უთხრა, ერთ მთვარიან საღამოს, სეირნობის დროს, ქმარმა, ერთი ტკბილი სიტყვა გამაგონე მაგ შენთა ბაგეთაგან!

— ცოლმა ღრმად ამოიოხრა, ნაზად შეხედა და უთხრა: „მურაბა“!

**

ვაგრამის ბრძოლის დროს ნაპოლეონი დიდად უშიშრად და მამაცად იბრძოდა, რის გამოც საშინელს განსაცდელში იყო. გაცხარებული ბრძოლის დროს, როდესაც ზარბაზნებს ისე ისროდნენ, როგორც თოფებს, გენერალმა ვალტერმა, ცხენოსანთ ჯარის უფროსმა მოახსენა: „თქვენო უდიდებულესობავ, ხომ მოგახსენეთ, აქ თქვენი ადგილი არ არის! წაბრძანდით აქედგან, თორემ ვუბრძანებ ერთ-ერთ ჯარის კაცს თქვენს დაჭერას და დამწყვდევას“.

— ამისაგან ეს გასაკვირველი არ არის უთხრა ნაპოლეონმა თავად ნევშატილს და გამოაბრუნა თავისი ცხენი, რომ თავის ხელქვეითისაგან არ დაპატიმრებულიყო.

**

მარშალი პელისიე არ იყო განთქმული ზრდილობით, ხშირად საშინლად გააჩხლდებოდა ხოლმე და უმართებულოდ ექცეოდა აფიცრებს. ერთხელ როცა სპასალარად იყო ალჟირში, ისე გაცეცხლდა, რომ მათრახი შემოჰკრა სახეში აფიცერს. იმავე წუთს აფიცერმა ამოიღო რევოლვერი და გულში ესროლა სპასალარს, მაგრამ რევოლვერმა უმტყუნა და არ გაისროლა. მაშინ პელისიემ ბრძანება გასცა აფიცრის დაპატიმრებისა და განაცხადა: ვაპატიმრებ იმიტომ, რომ იარაღის მოვლა, პატრონობა და მოხმარება არა სცოდნია.

---

# დეპეშა

11 თებერვალი

**პეტერბურგი.** გადადებულ იქმნა ფული შინათ ნაკეთებ ნივთ-ავეჯეულის შესაძენად რუსეთის საწყობისათვის ნიუ-იორკში.

12 თებერვალი

**პეტერბურგი.** განზრახულია დაწესდეს ვაჭართათვის განსაკუთრებული სიები, სადაც უნდა ჩაიწეროს ყოველგვარი ცნობა ვაჭრობის შესახებ, და ამასთანავე იმის დაწესებასაც აპირობენ, რომ სხვის სახელობით ვაჭრობა მოისპოს.

**პარიზი.** დღეს სააზისო სასამართლოში გაარჩიეს საქმე ლეონტიევისა, რომელმაც შარშან ნოემბერში სერბიის ელჩს გიორგიევიჩს მოკვლა დაუპირა. სასამართლომ მიუსაჯა ლეონტიევს კატორგაში უვადოთ გაგზავნა.

**ვენა.** 14 ბრალდებულ ანარქისტთაგან სასამართლომ რვა კაცი იცნო სახელმწიფოს მოღალატეთ და მიუსაჯა ამათ სასტიკი დაპატიმრება ორიდამ ათ წლამდე; ექვსი კაცი გაამართლეს.

პეტერბურგის ბირჟა, 11 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7\frac{1}{2}$ | 7,53 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | $150\frac{1}{2}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | $243\frac{3}{4}$ |
| —მეორისა . . . . | | — „ | 228 |
| 4% მესამე სესხისა. . | -- „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% . . . . . | $98\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | $100\frac{3}{8}$ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | $48\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98\frac{1}{4}$ | — „ | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ა—ბ—ის. ივ. ქ—ს.** თქვენი მოწერილი ამბავი სრულიად უმნიშვნელოა და ამიტომ არ ჰღირს დაბეჭდვად.

---

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. ღამ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ.

ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.**

იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახი-


---

გზასა, სულ არ შემოგვყრიან წინ მოწინააღმდეგე მტრები! რა შიგნიდგან შევიდა მეფე, ჰნახა სხვა დიდძალ მოსავალსა და ჭირნახულს გარდა მრავალი ხილნარი და ვენახოვანი, სავსე ხშირ-სხმულის ყურძნითა; აქვე მრავლობდა რაცლა თხილის ნაირი ნერგი, სიდგანაც მცხოვრებნი მზის ამოსვლის წინად თაფლის ცვარს იღებდნენ მის ფოთლებთაგან“!

„კვლავ 30 უტევანი რა წინ წავლო მეფემან, წინ მოეგება ფრატაფერნესი და დაიმორჩილა იგინიცა, ვინც დარიის სიკვდილის შემდგომ გაქცეულიყვნენ, მიიღო ესენი მეფემ კაცთ მოყვარებით და მივიდა არუსის (რუისის) ქალაქსა, სადაც დაუხვდნენ მას კრატერო და ერიგიოსი, რომელთაც ახლდათ თავიანთთან ტიპარელების (ქართველების) მთავარი ფრადატესი: ესეც მიიღო მეფემ თავის მფარველობის ქვეშ, მით მეფის სიმშვიდე იქნა მრავალთ სამაგალითოდ!.. მისცა ისევ ფრადატეს მფლობელობა ტიპარელთა“.

«ვირკანიის ქვეყნის მოსაზღვრენი იყვნენ მარდელები (ახალციხელები [3]) ველურის ჩვეულებისა და ტაცვაგლეჯაში დახელოვნებულნი. იმდენს ნათესავს ტომებში მხოლოდ ამათ არ ახსენეს მეფე, არც მოციქული წარმოადგინეს და არაცარა თავი დაუმონეს. განწყრა, განრისხდა მეფე; როგორ უნდა თავს მომექცეს, თავს მომივიდეს მე ერთი გვარი და დაშთეს უძლეველადო? დასტოვა იქავ ბარგი-ბარხანა მცველებითურთ, მიუძღვა წინ მხედრობას, მთელი ღამე ევლო გზა და დილაზედ შევიდა მტრის საზღვარებში, დამხდომთ შეება, ბრძოლა დაუდვა თუ არა მაშინვე მოიშალნენ გამაგრებულის გორების წვერებიდგან უცებ შეშფოთებულნი ბარბაროსნი და გაიქცნენ!“

„მხედრობამ ახლო-მახლო აყრილი სოფლები დაიჭირა; შიგნით-კი შესვლა ძალიან ძნელი იყო, მთის წვერები სულ კლდოვანი იყვნენ და გამოქვაბულნი, მოცული ხშირის მაღლარის ტყითა; ხოლო ვაკე ადგილები ახლად შემოღებულის ხელოვნებით გაემაგრებინათ, ხელით გაშენებული ტყის ხევან-ფიჩხნართ ნორჩი ტოტები მოედრიკათ და ერთმანერთში გაბმულ-გამობმული ეწიდნათ მიწაში, დაეხეთქნათ ლოჩქები, შებორბლილიყვნენ ხშირის ფოთლებით იქამდის, რომ კაცი ერთიან დაიბნეოდა, ვერ გაატანდა გზაკვალს; რაგინდ ძლიერ ხელ-გამომავალი კაცი ყოფილიყო და მოწიფული მეომარი, ყოველი ღონე-ცდა გაუცუდდებოდა; თვითან მცხოვრებნი-კი დიდად მავნე არიან თავიანთ მტრის შვილდ-ისროსნობითა!“

“აქაც მეფემ კარგ მონადირესავით ტყე-ღრის ძირ-კუთხე გამოჰძებნა და მრავალნიც დაჰკოდა; უბრძანა ჯარსაც შემოსდგომოდნენ ხევლეებსა და მოწინააღმდეგე მტრისთვის ეომათ; გარნა მრავალნი მხედარნი დაიბნენ ხევ-ღელეებში და ზოგნიც მტრის ხელში ჩაცვივდნენ, მეფის ცხენიც მოიტაცეს, რომელსაც ბუკეფალს უწოდდნენ და რომელიც ალექსანდრეს დიდად მიაჩნდა; არ ჰგავდა სხვა პირუტყვებსა, რადგან მეფის მეტს არავის არ შეიჯდუნებდა და შეჯდომის დროსაც მუხლს მოიყრიდა ხოლმე, ამით აჩვენებდა მის ვინაობასა!“

«შეწუხდა, გაწყრა, განრისხდა და რიგ გარედ აღელდა მეფე! უბრძანა მოკითხვა, მოძებნა იმ ცხენისა; შეუთვალა მცხოვრებთ მუქარა თავის მოუნის პირითა: თუ ჩემს ბუკეფალს უკან არ დამიბრუნებთ, უთუოდ ერთიან ამოგწყვეტთ, თქვენგანთ არც ერთს არ დავსტოვებ ცოცხალსაო! ამის გამო მეერიდათ მცხოვრებთ, დამშვიდდნენ და უკანვე მიართვეს ბუკეფალი ძღვნიანად მეფესა! გარნა ამით არ დასცხრა წყრომა მეფისა, დააწყებინა კაფვა ტყისა და ნაკაფზედ ყრევინება მიწისა, იქავ მდებარე გორებისაგან; რა ასრე უნდა გაჭრილიყო გზები, გარდაუწყდათ იმედი ბარბაროსთა თავიანთ ქვეყნის დაცვაზედა და დაემორჩილნენ; აიღო მძევალი მათგან და უბრძანა, ფრადატეს დამორჩილებოდნენ“! [4]).

(დასასრული იქნება)

მესხი

[3]) ახალციხის ახალ ნაწილს ჰქვიან ძველადგანვე ზემომარდა, ქვემო მარდა და ხვანა მარდა, ეს წოდება მიუღია 600-წლით წინ ქრისტეზედ, როცა სკვითებმან დაიჭირეს ასია 20—25-წელი.

[4]) კვინტიკურცის 40. 41. 42. 43. 44. გვერდი.

რურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი**, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

---


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—162)

---

ГЛИЦЕРИНОВАЯ
ПУДРА
НОВОЕ ИЗОБРѢТЕНІЕ
ОСВѢЖАЮЩАЯ
КОЖУ.
ОБЕЗПЕЧЕНО ПРАВОМЪ СОБСТ.
БРОКАРЪ и К°.
5о коп.


ЗА КОРОБКУ

---

ბალახეულის კარამელი

ხველების წამალი

„პექტე ბოსს“

ბ. სემადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. იყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

ფასი რგინის კოლოფისა 25 კაპ.

M. (20—15)


---

## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ ათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

---


ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1894 ГОДЪ НА ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ, ЛИТЕРАТУРНО-НАУЧНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

## СѢВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ.

Въ 1893 г. въ „Сѣв. Вѣст“. било напеч.: „СУРАТСКАЯ КОФЕЙНЯ“ гр. Льва Толстого, „ПУСТОПЛЯСЫ“ разск. Н. Лѣскова, „МЕЧТАТЕЛЬ“ разк. въ стих. Я. Полонскаго, „СЕМЕЙНЫЙ ОЧАГЪ“ ром. К. Баранцевича, „АЛИ“ разск. П. Боборыкина, „ЦАРЕВНА НАНДЖАНА“ сказ. Кота Мурлыки, „ВЪ СЛОБОДКѢ“ разск. Ольги Шапиръ, „СЕМЕЙНАЯ ИСТОРІЯ“ пов. И. Потапенко, „КОНЕЦЪ БИРЮКОВСКОЙ ДАЧИ“ разск. А. Михайлова (Шеллера), „ВЪ ОГОНЬ И ВЪ ВОДУ“ пов. С. Смирновой, СОРОКОВОЙ БѢСЪ“ М. Альбова, статьи: „НЕ-ДѢЛАНІЕ“ гр. Льва Толстого, „КНИГОНОШИ И ОФЕНИ“ А. Пругавина, „О ВЛІЯНІИ МУЗЫКИ“ проф. И. Тарханова, Женщина-Престуница„ проф. и Фойницкаго, Факторы Преступности“ его-же; „Общественныя Доктрины Прошлаго Вѣка“проф. М. Ковалевскаго, „Письма Великаго Человѣка“ В. Стасова, „Жизнь Художника 60-хъ годовъ“ Н. Ге, „О Притворныхъ Болѣзняхъ у Дѣтей“ д-ра В. Якубовича, „О Женщи. Врачахъ и женск. Врач. Курсахъ“ д-ра Г. Герценштейна, „Наука, Философія и религія“ А. Волынскаго, „Бѣлинскій“ его же „СОВРЕМЕНЫЯ НЕРВНЫЯ БОЛѢЗНИ НАШЕГО ОБЩЕСТВА“ проф. П. Ковалевскаго, „ЕДИНСТВО ГЕРМАНІИ“ Л. Полонскаго, ВОЛГА И ВОЛГАРИ“ А. Субботина и мн. друг. Кромѣ того печат. въ теченіе всего года:

### ЗАПИСКИ А. О. СМИРНОВОЙ:

(Изъ записныхъ книжекъ 1825—1845 гг.) Литературный кружокъ при дворѣ Николая Павловича. Бесѣды Государя, Пушкина, Жуковскаго, Вяземскаго, Гоголя, Лермонтова, Глинки и др. Новымъ годовымъ подписчикамъ на 1894 г. будетъ разослана безплатно напечат. въ 1893 г. I ч. Записокъ Смирновой въ видѣ отдѣльнаго изданія съ портретомъ А. О. Смирновой.

Ежемѣсячные отдѣлы въ журналѣ: 1) Областной и земскій отдѣлъ. 2) Провинціальная печатъ Л. Прозорова. 3) Отзывы о новыхъ книгахъ. 4) Письма: изъ Америки В. Макъ-Гаханъ, изъ Франціи, изъ Италіи, изъ Англіи. 5) Внутреннее обозрѣніе. 6) Политическая лѣтопись. 7) Изъ жизни, науки и литературы. 8) Литературныя замѣтки А. Волынскаго.

| Условія подписки: | | Пополугодіямъ. | | По четвертямъ года | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | На годъ, | Январь. | Іюль. | Январь. | Апрѣль. | Іюль. | Окт. |
| Съ перес. въ Имперіи. | 13 „ 50 „ | 7 — „ | 6 „ 50 „ | 3 „ 50 „ | 3 „ 50 „ | 3 „ 50 „ | 3 „ |

Подписка на всѣ означенные сроки. Разсрочка платежей. Служащіе могутъ вносить по мѣсячно за ручат. казначеевъ. Учащимъ и учащимся льготы по соглашенію

ПОДПИСКА ПРИНИМ. въ Главн. Конторѣ, Спб. Троицкая, 9, и въ МОСКОВКОМЪ Отдѣленіи, Москва, Тверская, домъ Сазикова, а также въ Спб. въ кн. маг. Фену и въ Москвѣ въ конт. Печковской. Во всѣхъ кн. маг Карбасникова и Нов. Времени, Оглобина (въ Кіевѣ), Башмакова (въ Казни) и др.

Издательница Л. Гуревичъ. редакторъ М. Альбовъ.

(3—3)

---




„ნევის კაპრიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ სპ. ტ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—29)

---




VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand ainé

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ, ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდე დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

---



**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოჰემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель **А. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.

---

### სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი



რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

---



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

### ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2 დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.

---

## ბ. ა. რუზანოვი და ამხ.

პეტერბურგი, რაზიეზჟის ქუჩა, სახლი № 18

ახალი ამხანაგობა. პრივილეგია დამტკიცებულია № 15.627.

შედედებული სუნნელოვანი წვენი არაყისა და ლიკიორებისა, შემზადებული მხოლოდ სხვა-და-სხვა ხილისაგან, მცენარისაგან და ძირეულობისაგან, განსხვავებულია თავისი სასიამოვნო სუნით და გემოთი. ამ სხვა-და-სხვა წვენის შემწეობით

ყველას შეუძლიან მოამზადოს მალიან გემრიელი ლიკიორი, რომელიც არაფრით არ დაუვარდება სამზღვარ გარეთის ძვირფასს ლიკიორებს და ყველანაირი სიმრთელისათვის მარგებელი მწარე არაყები.

გ. რუზანოვის და ამხანაგობის შემზადებული წვენი არაფრით ემგზავსება სხვა ესენციებითა და საღებავით გაკეთებულს წვენს, რაშიაც ყველას შეუძლიან დარწმუნდეს. პრეისკურანტი გაეგზავნებათ პირველს მოთხოვნილებისათანავე უფასოდ.

ფასი ერთი შუშისა $^1/_1$ ან $^1/_2$ ბუთილკისათვის 15 კ—80 კ.

არაყის ქარხანებისათვის ეს წვენი უფრო დიდრონ ჭურჭლებში შემზადებული.

(5—2)